



„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ კანონის პროექტის საჯარო განხილვა

14 სექტემბერს, 12:00 საათზე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში (მის: თბილისი, ლ. გუდიაშვილის №7) საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის ინიციატივით გაიმართება „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ კანონის პროექტის საჯარო განხილვა. ღონისძიებას გაუძღვება კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ ყაველაშვილი. საჯარო განხილვაში მონაწილეობის მიღება და ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალია.

კანონპროექტის საჯარო განხილვები ტარდება საქართველოს მასშტაბით და უკვე მოეწყო კახეთის (ქ. თელავი), ქვემო ქართლის (ქ. ბოლნისი), შიდა ქართლის (ქ. გორი), აჭარის არ. (ქ. ბათუმი), გურიის (ქ. ოზურგეთი), სამეგრელო-ზემო სვანეთის (ქ. ზუგდიდი), იმერეთის (ქ. ქუთაისი), რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის (ქ. ამბროლაური), სამცხე-ჯავახეთისა (ახალციხე) და მცხეთა-მთიანეთის (ქ. მცხეთა) რეგიონებში.

საჯარო განხილვები ემსახურება საზოგადოების წარმომადგენლებისაგან მოსაზრებებისა და რეკომენდაციების მიღებას კანონის პროექტის შემდგომი სრულყოფის მიზნით. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი უზრუნველყოფს საჯარო კონსულტაციების ფორმატში გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების მიწოდებას, შესაბამისი რეაგირების მიზნით, კანონის პროექტის ავტორისათვის - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის. პარლამენტისთვის კანონის პროექტის წარდგენა დაგეგმილია 2018 წლის ბოლომდე.

„სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია 1996 წელს არის მიღებული და უკვე მრავალი წელია ვერ აკმაყოფილებს სპორტის სფეროში არსებულ თანამედროვე მოთხოვნებს. ახალი კანონის შექმნა მიზნად ისახავს მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისა და სპორტის საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. კანონის პროექტი ემსახურება სპორტის წინაშე არსებულ გამოწვევებზე სათანადო რეაგირებას, მათ შორის ისეთი მიმართულებებით, როგორცაა სასპორტო განათლება და საკადრო უზრუნველყოფა, თანამშრომლობა სპორტულ ორგანიზაციებთან, ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი მართვა, სპორტული მედიცინა და სხვა.

კანონის პროექტის ტექსტი და მასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე:
www.bit.ly/sportis-kanoni

საჯარო განხილვები ეწყობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ღონისძიებების მხარდამჭერია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), ღონისძიებების ფინანსური მხარდამჭერია დიდი ბრიტანეთის მთავრობა (UKaid).

საკონტაქტო პირი: ანა ამირანაშვილი, NDI საქართველო, პროგრამის კოორდინატორი, 555 546 576
aamiranashvili@ndi.org

